ოქმი:ბ/14275392

თარიღი:25/11/2022

ოქმი № 23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 24 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

15.00 -16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: მარინა ვაშალომიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა, ტ. მგელაძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: მ. ვაშალომიძე

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ვაშალომიძემ, განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულია საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში, ცნობილია მისი პრიორიტეტები და ძირითადი პარამეტრები, დაფიქსირებულია შენიშვნები და რეკომენდაციები, ამიტომ სთხოვა თანამომხსენებელს- გ. ჩაგანავას მოკლედ მიმოეხილა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები და ყურადღება გაემახვილებინა იმ სიახლეებზე, რომელიც ასახულია პრექტში. გ. ჩაგანავას მოხსენების შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. დაისვა საკითხი ჭადრაკის ფედერაციის დაფინანსების გაზრდის თაობაზე, კომისიის წევრ ლ. ბიგვავას წინადადებით კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს დაფინანსების 10 ათას ლარამდე გაზრდა. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დასკვნა, რომელშიც ასახული იყო კომისიების სხდომებზე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, დაფიქსირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად კორექტირების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაბრუნება.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე განხილვის შემდეგ, გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესაბამისად კორექტირების მიზნით, დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

მარინა ვაშალომიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)